სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდაშვიდ აპრილს. მე, დავით ფუტკარაძემ ნოტარიუსმა, ჩემს სანოტარო ბიუროს, მდებარეს მისამართზე: თბილისი, ო.ხიზანიშვილის ქუჩა #33, ბინა 6, გარეთ, მისამართზე: ქ. თბილისი,წყნეთის გზატკეცილი 65, შევასრულე სანოტარო მოქმედება (მინდობილობის/რწმუნებულების დამოწმება). შევამოწმე მინდობილობის გამცემის - ქეთევან ბაბაჯანაშვილის (დაბად.14.08.1987. პირადი № 01027058252, მისამართი ქალაქი თბილისი, ჯავახეთის II შესახვევი, N 5, ბინა 1) პირადობა და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ამ პირს სურს მინდობილობის შედგენა, ამასთან, მანვე განაცხადა, რომ მოქმედებს როგორც შპს ეპიკ ისანი-ს, საიდენტიფიკაციო ნომერი: 401992368, ერთპიროვნული დირექტორი. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, დირექტორის უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში და უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. ქეთევან ბაბაჯანაშვილს წავუკითხე, ასევე განვუმარტე მინდობილობაზე ხელისმოწერის სამართლებრივი შედეგი, მანაც წაიკითხა და მოიწონა ეს მინდობილობა და განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამობატავს მის ნებას და სურვილს, რის შემდეგ პირადად ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე ქეთევან ბაბაჯანაშვილმა (პირადი ნომერი: 01027058252); როგორც შპს ეპიკ ისანი-ს, საიდენტიფიკაციო ნომერი: 401992368, ერთპიროვნულმა დირექტორმა, ამ მინდობილობით, ალექსანდრე კვირკველიას (დაბად.05.09.1981. პირადი ნომერი: 62001016420), მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილებანი: ალექსანდრე კვირკველია, უფლებამოსილია სრულად განახორციელოს ჩემი, როგორც შპს ეპიკ ისანი-ს, საიდენტიფიკაციო ნომერი: 401992368 დირექტორის წარმომადგენლობა. იყოს წარმომადგენელი ნებისმიერ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მათ შორის: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციაში, საბაჟო დეპარტამენტში, სამეწარმეო რეესტრში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, მუნიციპალიტეტებში, მერიასა და საკრებულოში, მათ ყველა სამსახურში, მათ შორის არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში და სხვა ორგანოზაციებში. იგი უფლებამოსილია მიიღოს ჩემი სახელით დირექტორის გადაწყვეტილებები ნებისმიერ საკითხზე, მათ შორის ქონების გასხვისებაზე, ვალდებულების მოხსნა/დატვირთვაზე და სხვა ნებისმიერ საკითხზე, აწარმოოს მოლაპარაკებები. გაასხვისოს, ნებისმიერი ვალდებულებით დატვირთოს კუთვნილი ნებისმიერი უძრავი და/ან ნებისმიერი მოძრავი ქონებები, მიიღოს შპს-ს საკუთრებაში ნებისმიერი უძრავი და/ან მოძრავი ქონება, მოაწეროს ხელი ხელშეკრულებებს, დირექტორის ნებისმიერი შინაარსის გადაწყვეტილებებს, გადაჭრას სამართლებრივი საკითხები. მიიღოს და ჩააბაროს შემოსავლების სამსახურიდან ნებისმიერი შინაარსის ცნობისა და ინფორმაცია, აიღოს, ასევე, შეიტანოს ცვლილებები უძრავი ქონების სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, უზრუნველყოს ზონალური ცვლილებების განხორციელება, აიღოს შენობა-ნაგებობის აშენების/მიშენების/დაშენების/დემონტაჟის, ფასადის რეკონსტრუქციის, ღიობის ამოჭრის, შენობის მოპირკეთების და სხვა ნებისმიერი სახის საჭირო ნებართვები, მოახდინოს შენობა/ნაგებობის პროექტირება, შეათანხმოს პროექტები, შეათანხმოს ნებისმიერი (ტიპის) კლასს მიკუთვნებულ სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები, პროექტები, შეიტანოს პროექტებში ცვლილებები და/ან დამატებები, აწარმოოს საპროექტო სამუშაოები, უზრუნველყოს შენობის ექსპლოატაციაში მიღება, სრულად აწარმოოს ახალი მშენებლობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებული საქმეები. უზრუნველყოს ერთიანი გენერალური გეგმის პროექტის დამუშავება და განხორციელება. „მიმდობის“-ს სახელით განაცხადოს ყველა საჭირო ტიპის თანხმობები, გააკეთოს განცხადებები და სხვა. წარადგინოს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტები, ატვირთოს, დაარეგისტრიროს და გაგზავნოს დოკუმენტები ელექტრონულად, დაარეგისტრიროს ელექტრონულ საიტებზე, პორტალებზე და მიიღოს, ასევე შეცვალოს პაროლები, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადები, აწარმოოს მოლაპარაკებები, ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეასწოროს ნებისმიერი ხარვეზი და ჩააბაროს დოკუმენტაცია ხელახლა. ზემოაღნიშნული დავალებების შესრულების მიზნით, შეიტანოს განცხადებები, ჩააბაროს და უკან გამოითხოვოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია, მიიღოს დოკუმენტები, მოაწეროს ხელი ჩემს მაგივრად დოკუმენტებს, ხელშეკრულებებს, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, გადაიხადოს კანონით გათვალისწინებული გადასახადები და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც საჭირო გახდება აღნიშნულ დავალებებთან დაკავშირებით. მინდობილობა ძალაშია 2023 (ორი ათას ოცდასამი) წლის 27 (ოცდაშვიდი) მაისის ჩათვლით. მინდობილობა გაცემულია ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგანაც ერთი ინახება ნოტარიუს დავით ფუტკარაძის სანოტარო ბიუროში (თან ერთვის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან), ხოლო დანარჩენი გადაეცა ქეთევან ბაბაჯანაშვილს. გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაური, საქართველოს მთავრობის 2011წ. 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები“-ს შესაბამისად 31-ე მუხლის შესაბამისად 30 (ოცდაათი) ლარი, 34 მუხლის თანახმად 35 ლარი და 39 მუხლის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 5.00 (ხუთი) ლ.

ხელისმოწერა _____

ნოტარიუსი დავით ფუტკარაძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

50497623154623

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230535731

რეგისტრაციის თარიღი

27.04.2023 წ

ნოტარიუსი: დავით ფუტკარაძე

მისამართი: ქ. თბილისი, ო. ხიზანიშვილის ქუჩა #33, ბინა #6

ტელეფონი: (+995 32) 2 111 406

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18